

## სპეციალობა-საორკესტრო-სიმებიანი

(ვიოლინო)

1. კაპრისი ან ეტიუდი
2. ი.ს. ბახი-სონატები და პარტიტები (სოლო), ორი ნაწილი (ნელი და ჩქარი);
3. ორი სხვადასხვა სახის პიესა-ნელი და ჩქარი
4. გამები ყველა ნაირსახეობის (არპეჯიო, ორმაგი ნოტები) დაკვრა.

(ალტი)

1. კაპრისი ან ეტიუდი
2. ორი ნაწილი ბაროკოს ეპოქის ნაწარმოებიდან (ნელი და ჩქარი)
3. კონცერტის ან სონატის I ნაწილი, ან II-II ნაწილები
4. ორი განსხვავებული ხასიათის პიესა

(ჩელო)

1. კაპრისი ან ეტიუდი
2. ი.ს. ბახი-სუიტები ჩელოსთვის –პრელუდია ან ნებისმიერი სამი ნაწილი
3. კონცერტი –I ნაწილი ან II-III ნაწილები
4. ორი სხვადასხვა ხასიათის პიესა (ნელი და ჩქარი)

(კონტრაბასი)

1. ორი სხვადასხვა ტექნიკური სირთულის ეტიუდი
2. კონცერტი – I ან II-III ნაწილები
3. ბაროკოს ეპოქის სუიტა -ერთი ან ორი ნაწილი

## 2. მუსიკის თეორია:

სოლფეჯიო –კარნახი (ორხმიანი)

სმენითი ანალიზი ერთი

ტესტი მუსიკის თეორიაში

პროფესიული და ხალხურის მუსიკის 10 ნიმუშის გამოცნობა (წერა);

## სოლფეჯიო (წერა)

კარნახი:

სამხმიანი კარნახის ჩაწერა, ჩაწერის დრო – 30 წთ.

## სმენითი ანალიზი წერით:

1. კილო. სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; ორმაგად ჰარმონიული მაჟორი და მინორი; მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული).
2. ინტერვალი. მარტივი და შედგენილი. ყველა წმინდა, დიდი და პატარა; გადიდებული და შემცირებული გადაწყვეტით.
3. აკორდი მჭიდრო და ფართო განლაგებით. სამხმოვანება: 4 სახის შებრუნებებით, სეპტაკორდები: მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე,

შემცირებული შებრუნებებით. შემცირებული, მცირე მაჟორული სექსტით (მაჟორში). ნონაკორდი მაჟორული –დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე.

4. აკორდული თანმიმდევრობა. ერთტონალური (შედგენილი), რომელშიც შევა დამახასიათებელი ჰარმონიული საქცევები: გამვლელი, დამხმარე, ტეტრაქორდები, ალტერირებული სუბდომინანტები და დომინანტები და სხვა პროგრამის შესაბამისად.

5. მოდულირებული პერიოდი გადახრით (პირველი ხარისხის ტონალობათა ნათესაობა). (მაგალითი მხატვრული ლიტერატურიდან ან შედგენილი. დაადგინეთ ტონალური გეგმა და მოდულაციის ხერხი (გატოლების აღნიშვნით).

ტესტი მუსიკის თეორიის დისციპლინებში

1. ტესტი შეიცავს მელოდიის ჰარმონიზაციას (8-10 ტაქტი)

2. ჰარმონიულ ანალიზს.

სამუშაო დრო -3 აკადემიური საათი

### მოთხოვნები ჰარმონიულ ანალიზში

საანალიზოდ აბიტურიენტს ეძლევა ერთი მაგალითი მხატვრული ლიტერატურიდან, დაწერილი პერიოდის, მარტივი ორ- ან სამნაწილიანი, რთული სამნაწილიანი, ვარიაციული, რონდოს, რონდო-სონატის ან სონატური ფორმით. ანალიზის პროცესში აბიტურიენტმა უნდა განსაზღვროს ფორმა, ტონალური გეგმა, მოდულაციის სახეები და ხერხები, კადანსები, ფაქტურა, აკორდიკა, ჰარმონიული საქცევები და განათლების საშუალო რგოლის ჰარმონიის სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოვლენები.

### პროფესიული მუსიკის ნიმუშები:

მოსმენის შედეგად უნდა განისაზღვროს:

1. კომპოზიტორი და ეპოქა;
2. ნაწარმოების დასახელება (ტონალობის მითითებით);
3. ფრაგმენტი (ნაწილის, სათაურის, მოქმედების, სურათის, ნომრის მითითებით).

ო. ს. ბახი – მესა სი მინორი I ნაწილი – № 1, „Kyrie eleison“, III ნაწილი– №15 „Et incarnatus“, №16 „Crucifixus“. „საორგანო ტოკატა და ფუგა რე მინორი;

ქ. ვ. გლუკი – ოპ. „ორფეუსი და ევრიდიკე“ – I მოქმედებიდან, მწყემსების პირველი გუნდი, ფლეიტის სოლო II მოქმედების II სურათიდან, ორფეუსის არია III მოქმედებიდან.

ო. ჰაიდნი – სიმფონია № 103, მი ბემოლ მაჟორი, „ლიტავრების ტრემოლოთი“;

ვ. ა. მოცარტი – სიმფონიები № 40, სოლ მინორი; № 41 (I ნაწილი) დო მაჟორი, „იუპიტერი“. ოპ. „ფიგაროს ქორწინება“: უვერტიურა, ფიგაროს კავატინა და არია

I მოქმედებიდან. ქერუბინოს არია; ოპ. „დონ ჯოვანი“: I მოქმედებიდან ლეპორელოს არია „სიით“, დონ ჯოვანის არია „მამპანურით“, დონ ჯოვანისა და ცერლინას დუეტინო;

ლ. ვან ბეთჰოვენი – სიმფონიები: № 3, მი ბემოლ მაჟორი, „გმირული“ და № 5, დო მინორი.

ფ. შუბერტი – სიმფონია № 8, სი მინორი, „დაუმთავრებელი“.

კ.მ. ვებერი – ოპ. „თავისუფალი მსროლელი“: უვერტიურა;

ჯ. როსინი – ოპ. „სევილიელი დალაქი“: უვერტიურა

ფ. მენდელსონი – უვერტიურა „ზაფხულის დამის სიზმარი“. სავიოლლინო კონცერტი მი მინორი.

ფ. შოპენი – სონატა № 2, სი-ბემოლ მინორი.

ჰ. ბერლიოზი – „ფანტასტიკური სიმფონია“

ფ. ლისტი – სიმფონიური პოემა „პრელუდები“.

რ. ვაგნერი – ოპ. „ტანჰოიზერის“ უვერტიურა; ოპ. „ლოენგრინი“: ფორშპილი, III მოქმედებიდან საქორწილო მარში;

ი. ბრამსი – სიმფონია № 4, მი მინორი (I ნაწილი).

ჟ. ბიზე – ოპ. „კარმენი“: შესავალი, I მოქმედებიდან: კარმენის „ხაზანერა“ და „სეგიდილია“; II, III და IV მოქმედებების საორკესტრო შესავლები.

ჯ. ვერდი – ოპ. „რიგოლეტო“: შესავალი, I მოქმედება: ჰერცოგის ბალადა I სურათიდან; II მოქმედებიდან რიგოლეტოს სცენა და არია, III მოქმედებიდან კვარტეტი; ოპ. „ტრავიატა“: შესავალი, „სუფრული“ I მოქმედებიდან; ოპ. „აიდა“ – შესავალი; მარში II მოქმედების ფინალიდან; აიდასა და რადამესის დუეტი IV მოქმედების II სურათიდან.

ა. დვორჟაკი – სიმფონია № 5, „ახალი სამყაროდან“, მი მინორი.

ე. გრიგი – „პერ-გიუნტი“, სიმფონიური სიუიტა № 1

კ. დებიუსი – სიმფონიური სიუიტა „ნოქტიურნები“.

მ. რაველი – საორკესტრო პიესა „ბოლერო“.

გ. მალერი – სიმფონია №1, რე მაჟორი, „ტიტანი“.

მ. პ. მუსორგსკი – ოპ. „ბორის გოდუნოვი“: ბორისის მონოლოგი პროლოგიდან

ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვი – სიმფონიური სიუიტა „შეპრეზადა“(I ნაწილი).

პ. ი. ჩაიკოვსკი – სიმფონია: № 4, ფა მინორი; № 6, სიმინორი (I ნაწილი);

ს. ვ. რახმანინოვი – საფორტეპიანო კონცერტი № 2, თხზ. 18, დო მინორი;

ს. ს. პროკოფიევი – ბალეტი „რომეო და ჟულიეტა“: შესავალი, „ჯულიეტა-გოგონა“, „რაინდების ცეკვა“ I მოქმედების II სურათიდან; საფორტეპიანო სონატა № 7, თხზ. 83, სი ბემოლ მაჟორი.

დ. დ. შოსტაკოვიჩი – სიმფონია № 7 (I ნაწილი), დო მაჟორი, „ლენინგრადული“.

მ. ბალანჩივაძე – ოპ. „დარეჯან ცბიერი“: გოჩას არია IV მოქმედებიდან.

დ. არაყიშვილი – რომანსები: „ივერიის მთებზე“, „შემოდამდება“; ოპ. „თქმულება შოთა რუსთაველზე“: აბდულარაბის არიოზო და დუეტი გულჩინასთან III მოქმედებიდან.

**ზ. ფალიაშვილი** – ოპ. „აბესალომ და ეთერი“: შესავალი, I მოქმედებიდან: მონადირეთა გუნდი, ეთერის არია, აბესალომის არიოზო; II მოქმედებიდან: გუნდი „აბიო მეფე“, მარიხის კანცონეტა; III მოქმედებიდან: აბესალომის სცენა და არიოზო, ფინალი; IV მოქმედებიდან: ქალთა გუნდი, აბესალომის და მურმანის დუეტები, ანსამბლი „წამწამსა და წამწამს შუა“, ფინალური ქორალი. ოპ. „დაისი“: შესავალი, I მოქმედებიდან: მალხაზის გამოსვლა, შაირები, მალხაზის არია; II მოქმედებიდან: ცანგალას სიმღერა, კიაზოს სიმღერა, კიაზოს არია, მაროს რეჩიტატივი და არია, კიაზოს მიმართვა ხალხისადმი, გუნდი „მტერი ბარში გადმოსულა“; III მოქმედებიდან: მალხაზის არიოზო, მაროს ტირილი.

**ნ. სულხანიშვილი** – საგუნდო სიმღერები, „გუთნური“, „ღმერთო, ღმერთო“.

**ვ. დოლიძე** – ოპ. „ქეთო და კოტე“: I მოქმედებიდან: კოტეს არია; II მოქმედებიდან: ქეთოს არია, მაკარის არია, კოტეს რომანსი, კვინტეტი.

**ა. ბალანჩივაძე** – საფორტეპიანო კონცერტი № 3, ლა მინორი.

**ა. მაჭავარიანი** – სავიოლინო კონცერტი რე მინორი. მავრიტანული ცეკვა ბალეტიდან „ოტელო“, II მოქმედება

**ო. თაქთაქიშვილი** – საფორტეპიანო კონცერტი № 1, დო მინორი; ოპერა „მინდია“: შესავალი, მინდიას არიები I და III მოქმედებიდან;

**ს. ცინცაძე** – კვარტეტი № 4, ფა მაჟორი.

**გ. ყანჩელი** – სიმფონია № 4.

**ბ. კვერნაძე** – საორკესტრო პიესა „ცეკვა-ფანტაზია“.

**რ. ლალიძე**: ოპ. „ლელა“ ლელას არია I მოქმედებიდან.

### ქართული ხალხური სიმღერები

1. ჩაკრულო (ქართლ-კახური)
2. მრავალჟამიერი (ქართლ-კახური)
3. ლაზარე (ქართლ-კახური)
4. ცხენოსნური (იმერული)
5. ნადური (ნადური)
6. ბატონების ნანინა (ქართლ-კახური)
7. საფერხულო (სვანური)
8. ალილო (გურული)
9. ხერტლის ნადის სიმღერა (აჭარულ-შავშური)
10. ჩქიმ ტორონჯი (მეგრული)
11. ელესა (გურული)
12. ჭონა (ქართლ-კახური)
13. ასლანური მრავალჟამიერი (რაჭული)
14. ჰა, ნანი (ლაზური)
15. ჩვენ მშვიდობა (გურული)
16. მამლი მუხასა (მესხური)
17. დიდება (მოხეური)
18. თუშური საცეკვაო (თუშური)

19. ნაი ნაი (აჭარულ-შავშური)
20. კირია ლესა (მეგრული)
21. დალიე (ლეჩხუმური)
22. მაცრული (ქართლ-კახური)